

პროფესიული მომზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამა შექმნა უფლების მოპოვების გარეშე

| | |
|--|--------------------------------|
| პროგრამის სახელწოდება: | გვირაბგამყვანი |
| პროგრამის სახელწოდება ინგლისურად: | Tunnel Engineer |
| პროგრამის სახე: | პროფესიული მომზადება |
| განხორციელების ენა: | ქართული |
| სფერო: | 072 - წარმოება და გადამუშავება |
| პარტნიორები: | შპს „ჯორჯიანმანგანები“ |
| კვალიფიკაციის დონე: | 3 - პროფესიული მომზადება |
| პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: | 18 |
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე: | 20 |
| მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში | 20 |
| მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში | 15 |

პროგრამის აღწერა

გვირაბგამყვანის საქმიანობა გულისხმობს : სამთო გვირაბების გაყვანას სამუშაო პროცესში გამოყენებული მანქანა დანადგარების მართვას. სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების წესების დაცვას . ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად სამუშაოთა წარმოებას. სხვადასხვა ტიპის სამაგრი კონსტრუქციების დაყენებას. საშახტო ტრანსპორტის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომუნიკაციების გამართვას . სამთო გამუნამუშევრებში სასიცოცხლო პირობების უზრუნველყოფისათვის საჭირო აპარატურის გამართვა ოპერირება.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი რომელიც უზრუნველყოფს სამთო სამუშაოების წარმოების დროს მასში მომუშავე მანქანა დანადგარების უსაფრთხო და ეფექტურ მართვას, ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად სამუშაოების წარმოებას . გამონამუშევარში სამაგრი კონსტრუქციების გამართულ დაყენებას და მონგრეული სამთო მასის ტრანსპორტირებას საშახტო ტრანსპორტის გამოყენებით.

პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა: 1

კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:

30

სწავლის შედეგები:

სწავლის შედეგი 1. სამთო საწარმოები და მათი დამუშავების მეთოდები

სწავლების მეთოდები:

ლექცია

შეფასების მეთოდები:

გამოკითხვა

სასწავლო გარემო:

A

თემატიკა

- ვერტიკალური ჰორიზონტალური, დახრილი გვირაბები;
- ზოგადი ცნობები წიაღისეულის საბადოთა დამუშავების შესახებ;
- ფენოვანი და არაფენოვანი საბადოები, მათი წოლის ელემენტები და პარამეტრები; ფენის განვრცობა, დაქანება და ფენის სისქის და დახრის კუთხის მიხედვით დაყოფა.
- სამთო სამუშაოების ცნება და მიწისქვეშა გვირაბები; გვირაბების სივრცეში განლაგების საკითხები, გვირაბების სახეები მათი გამოყენების პირობების მიხედვით.
- სამთო საწარმოები და მათი ძირითადი პარამეტრები.
- ზოგადი ცნობები სამთო სამუშაოების შესახებ;
- ზოგადი ცნობები სამთო მანქანების შესახებ;
- სანგრევი ჩაქუჩები;
- მტვირთავები (ნახევრად მექანიკური, მექანიკური, სკრეპერული)
- გვირაბის განივკვეთის ფორმა და ზომები;

სასწავლო კვირა: 2

კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:

30

სწავლის შედეგები:

სწავლის შედეგი 1. სამთო საწარმოები და მათი დამუშავების მეთოდები

| | |
|----------------------------|------------|
| სწავლების მეთოდები: | ლექცია |
| შეფასების მეთოდები: | გამოკითხვა |
| სასწავლო გარემო: | A |

თემატიკა

- შახტის ველის დაყოფა ნაწილებად;
 - შახტის ველის გახსნა;
 - შახტის ველის დამუშავების სისტემები;

 - ქანის დატვირთვა ხელით;
 - ქანის დატვირთვა უწყვეტი მოქმედების ქანსატვირთი მანქანებით;
- ქანის დატვირთვა წყვეტილი მოქმედების დამტვირთავი მანქანებით.
- დანადგარების მომზადება სამუშაოდ;
- დანადგარების ამუშავების ეტაპები.
- ქანის დატვირთვა სკრეპერების საშუალებით;
 - ქანის ტრანსპორტირება ლენტური კონვეიერის გამოყენებით;
 - ქანის ტრანსპორტირება ხვეტია კონვეიერის გამოყენებით;
 - ქანის ტრანსპორტირება ბუნკერ - მატარებლების გამოყენებით.
 - ქანის ტრანსპორტირება ელმავლებით, რონოდებით, სარკინიგზო მეურნეობა.
- ქანის ტრანსპორტირება შიგანვის ძრავაზე მომუშავე დამტვირთი მანქანებით.
- ჩამოქცევით ჭერის მართვის ხერხის გამოყენების არე;
 - ჭერის მართვა ნაწილობრივი ჩამოქცევით;
 - ჭერის მართვა იძულებითი ჩამოქცევით;
 - ჭერის მართვა მშრალი ვსებით;
 - ჭერის მართვა სველი ვსებით;
 - ჭერის მართვა ნაწილობრივი ვსებით.

სასწავლო კვირა: 3

| | |
|--|--|
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 2. მიწისქვეშა სამუშაოებისას ქანის მონგრევის და გვირაბების გამაგრების მეთოდები |
| სწავლების მეთოდები: | ლექცია დემონსტრირება |
| შეფასების მეთოდები: | გამოკითხვა |
| სასწავლო გარემო: | A |

თემატიკა

- ტრაპეციული და სწორკუთხა ფორმის სამაგრი;
- თაღური ფორმის სამაგრი;

- წრიული ფორმის სამაგრი;
- პოლიგონალური ფორმის სამაგრი.
- ბიგი, უღელი, გამსოლი ელემენტები;
- ლითონის ფეხი, უღელი, ცალულები,
- გამბრჯენი თამასები;
- ხის წოლანები, უკუ თაღის მოწყობა.
- ხის სამაგრში ბიგისა და უღლის შეერთებების ტიპები;
- ლითონის დამთმობი სამაგრის ფეხისა და თაღური ნაწილის შეერთება ცალულების საშუალებით;
- შერეული სამაგრი;
- ასაწყობი რკინა - ბეტონის ცალკეული ელემენტების დასაყენებელი დანადგარები.

სასწავლო კვირა: 4

| | |
|--|--|
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 2. მიწისქვეშა სამუშაოებისას ქანის მონგრევის და გვირაბების გამაგრების მეთოდები |
| სწავლების მეთოდები: | ლექცია |
| შეფასების მეთოდები: | გამოკითხვა |
| სასწავლო გარემო: | A |

თემატიკა

- ცეცხლგამტარი ზონარის წვის სიჩქარე;
 - ელექტროდეტონატორების სახეები;
 - ნონელის ტალღაგამტარის ტიპები და კონსტრუქციები;
 - შპურების სიგრძის, მიმართულების
 - შპურების დანიშნულება სანგრევზე მოქმედების პრინციპის მიხედვით (გამყელავი, მომნგრევი, მაკონტურებელი);
 - გამყელავი შპურების სახეობები;
 - მომნგრევი შპურები და მათი სიგრძეები;
- მაკონტურებელი შპურები და მათი მიმართულება.
- დამრტყმელი ვაზნების სახეები;
 - დეტონატორის სახეები;
 - სადეტონაციო ზონარის სახეები;
 - ინერტული მასალის სახეები;
 - უსაფრთხო მანძილები;
 - აფეთქებისწინა სიგნალების დანიშნულება;
 - უსაფრთხო ზონაში ხალხის გაყვანის წესი;
 - უსაფრთხო ზონაში მანქანა
 - მექანიზმების გაყვანის და განლაგების წესი;
 - უსაფრთხო ზონის შემოფარგვლის წესი.

| | |
|---|--|
| სასწავლო კვირა: 5 | |
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 3. მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებისას გვირაბების გაყვანის ორგანიზაცია |
| სწავლების მეთოდები: | ლექცია დემონსტრირება |
| შეფასების მეთოდები: | გამოკითხვა |
| სასწავლო გარემო: | A |
| თემატიკა | |
| <ul style="list-style-type: none"> • გამოსაწევი დროებითი სამაგრები; • კონკრეტული პირობებისათვის შექმნილი დროებითი სამაგრები; • არსებული მუდმივი სამაგრი კონსტრუქციების გამოყენება დროებით სამაგრად; • გვირაბის განივკვეთის ფორმები და ზომები; • გვირაბის გაყვანა - გამაგრების პასპორტის გრაფიკული ნაწილის განხილვა და ანალიზი; • სამაგრი კონსტრუქციების დასაყენებელი მანქანა - დანადგარები; • სამაგრი კონსტრუქციების ამოსაყვანი თანამედროვე მოწყობილობები (გვირაბგამყვანი ფარები); • ასაწყობი ლითონის სამაგრის სეგმენტების და ხის სამაგრი ჩარჩოს ბიგებისა და უღლების დაყენება; • მონოლითური ბეტონისა და რკინაბეტონის სამაგრის ამოყვანა; • შპრიცბეტონის და ტორკრეტბეტონის სამაგრი; • ანკერული სამაგრი; • ასაწყობი რკინაბეტონის და ლითონის ტუბინგური სამაგრი. | |
| სასწავლო კვირა: 6 | |
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 3. მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებისას გვირაბების გაყვანის ორგანიზაცია |
| სწავლების მეთოდები: | ლექცია |
| შეფასების მეთოდები: | გამოკითხვა |
| სასწავლო გარემო: | A |
| თემატიკა | |
| <ul style="list-style-type: none"> • ქანსატვირთი მანქანები; | |

- წმენდითი სანგრევის მომპოვებელი მანქანა-მექანიზმები;
- წმენდითი სანგრევის გამაგრების საშუალებები;
- ქანსატვირთი მანქანების ტექნიკური მახასიათებლები;
- მუშაობის ორგანიზაციის მცოცავი გრაფიკი;
- ტექნოლოგიური სქემების მიხედვით ერთგვაროვან ქანებში გვირაბის გაყვანის სამუშაო პროცესის თანმიმდევრული და პარალელური სქემები;
- ტექნოლოგიური სქემების მიხედვით არაერთგვაროვან ქანებში გვირაბის გაყვანის სამუშაო პროცესის თანმიმდევრული და პარალელური სქემები;
- არაერთგვაროვან ქანებში გვირაბების ვიწრო ან ფართო სანგრევით გაყვანის ტექნოლოგიური სქემები.

სასწავლო კვირა: 7

| | |
|--|---|
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 4. გვირაბების განიავება და სამუშაოების უსაფრთხო წარმოება |
| სწავლების მეთოდები: | ლექცია |
| შეფასების მეთოდები: | გამოკითხვა |
| სასწავლო გარემო: | A |

თემატიკა

- ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობა;
- სამთო საწარმოში საჰაერო გარემოს პარამეტრების ცვლილება და მისი გავლენა ადამიანზე;
- სამთო საწარმოში ჰაერის შემადგენელი მავნე კომპონენტები;
- ჰაერის კომპონენტების გამზომი ხელსაწყოები, მათი მუშაობის პრინციპი და ექსპლუატაცია;
- ტემპერატურის საზომი პარატურა და მათი ექსპლუატაციის წესები;
- განიავების პრინციპები და საშუალებები;
- გვირაბის განიავების სისტემა;
- გვირაბის რემონტისა და სანმენდი სამუშაოების შედეგად შექმნილი საჰაერო გარემოს გავლენა ადამიანზე;
- გვირაბის რემონტისა და სანმენდი სამუშაოების დროს წარმოქმნილი მავნე და საშიში საწარმოო ფაქტორები;

სასწავლო კვირა: 8

| | |
|--|---|
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 4. გვირაბების განიავება და სამუშაოების უსაფრთხო წარმოება |

| | |
|----------------------------|------------|
| სწავლების მეთოდები: | ლექცია |
| შეფასების მეთოდები: | გამოკითხვა |
| სასწავლო გარემო: | A |

თემატიკა

- უსაფრთხოების ტექნიკის საფუძვლები;
 - დარგობრივი ინსტრუქციები;
 - სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატივები;
 - ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დანიშნულება;
 - სასუნთქი გზების დამცავი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
 - თავის დაცვის ინდივიდუალური საშუალებები;
 - ხელების დაცვის ინდივიდუალური საშუალებები;
 - თვალის დაცვის ინდივიდუალური საშუალებები;
 - ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორი ექსპლუატაცია და შენახვის წესი;
 - მექანიზირებული საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება;
 - პირველადი ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მნიშვნელობა;
 - სამუშაო გარემოს დაცვა;
 - გარემოს დაბინძურების შესაძლო რისკების სახეები;
 - საწარმოში შესაძლო რისკების შესაბამისი ღონისძიებები;
- საწარმოო ნარჩენები.

| | |
|--|---|
| სასწავლო კვირა: 9 | |
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 1. სამთო საწარმოები და მათი დამუშავების მეთოდები |
| სწავლების მეთოდები: | პრაქტიკული მეცადინეობა ინსტრუქტაჟი |
| შეფასების მეთოდები: | პრაქტიკული დავალება |
| სასწავლო გარემო: | C - შპს „ჯორჯიანმანგანუმი“ს სტრუქტურული ერთეულები |

თემატიკა

- სამთო გამონამუშევრებში შტოლნების, შტრეკების , კვერშლაგების , ბრემსბერგების, ქანობების და ჭაურების გაცნობა
- სამთო სამუშაოების წარმოება სანგრევზე, სპირაჯოებისა და ლავებში
- გვირაბებში მადნეული და არამადნეული ფენების განლაგება და მათი მარაგები.
- გვირაბების გაყვანისას სამთო სამუშაოების წარმოება და გვირაბების განსხვავება მათი დანიშნულების და ჰორიზონტის მიმართ განლაგების მიხედვით.

| | |
|--|---|
| სასწავლო კვირა: 10 | |
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 1. სამთო სანარმოები და მათი დამუშავების მეთოდები |
| სწავლების მეთოდები: | პრაქტიკული მეცადინეობა ინსტრუქტაჟი |
| შეფასების მეთოდები: | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით |
| სასწავლო გარემო: | C - შპს „ჯორჯიანმანგანეზი“ს სტრუქტურული ერთეულები |

თემატიკა

- სამთო სამუშაოების ექსპლუატაციის დროს გასათვალისწინებელი პარამეტრების განსაზღვრა
- მაღაროს ექსპლუატაციის პროცესში ჩასატარებელი სამუშაოების გაცნობა
- სამთო სანარმოებში გამოყენებული მანქანა დანადგარებში (მომგრევი ჩაქუჩი, საბურღი დანადგარი, მტვირთავები) და მათი ექსპლუატაციის არეალის განსაზღვრა.
- სხვადასხვა დანიშნულების გვირაბების განიკვეთის ფორმის და ზომების განსაზღვრა.

| | |
|--|---|
| სასწავლო კვირა: 11 | |
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 1. სამთო სანარმოები და მათი დამუშავების მეთოდები |
| სწავლების მეთოდები: | პრაქტიკული მეცადინეობა |
| შეფასების მეთოდები: | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით |
| სასწავლო გარემო: | C - შპს „ჯორჯიანმანგანეზი“ს სტრუქტურული ერთეულები |

თემატიკა

- სამთო სანარმოების კონტურის ველი და მათი შემადგენელი ნაწილები
- სამთო სანარმოს ველის გახსნის მეთოდების შესწავლა
- შახტის ველის დაყოფა ნაწილებად და მათი დამუშავება სხვადასხვა სისტემის გამოყენებით
- სანგრევზე მონგრეული ქანის დატვირთვა სხვადასხვა მეთოდებით (ხელით, ქანსატვირთ მანქანებით, სკრეპერით)
- სამთო სანარმოებში არსებული მანქანა დანადგარები , მათი მომზადება და ექსპლუატაცია
- სამთო გამონამუშევრებში მონგრეული ქანის ტრანსპორტირების სხვადასხვა ხერხების გამოყენება (ლენტური კონვეიერი, სარკინიგზო ტრანსპორტი, ქანსატვირთი

| | |
|--|--|
| მანქანები) | |
| სასწავლო კვირა: 12 | |
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 2. მიწისქვეშა სამუშაოებისას ქანის მონგრევის და გვირაბების გამაგრების მეთოდები |
| სწავლების მეთოდები: | პრაქტიკული მეცადინეობა შემთხვევის ანალიზი |
| შეფასების მეთოდები: | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით |
| სასწავლო გარემო: | C - შპს „ჯორჯიანმანგანუმი“ს სტრუქტურული ერთეულები |
| თემატიკა | |
| <ul style="list-style-type: none"> • სამთო გამონამუშევრების ლიკვიდაციისას ჭერის მართვა სხვადასხვა მეთოდებით (ნაწილობრივ ჩამოქცევით, იძულებით ჩამოქცევით, ვსების მეთოდით) • სამთო გამონამუშევრებში გამოყენებული სამაგრი მასალების გაცნობა • სამთო გამონამუშევრები სხვადასხვა კვეთის გვირაბებში გამოყენებული სამაგრი კონსტრუქციების ფორმების გაცნობა (მართკუთხა, ტრაპეციული, თაღოვანი წრიული) • სხვადასხვა სამაგრი კონსტრუქციების შემადგენელი ელემენტები და მათი დაკომპლექტება (ბიგი, უღელი, გამბჯენი, სოლი) • სრული და არასრული სამაგრი კონსტრუქციების დაყენების არეალის განსაზღვრა და მათი დაკომპლექტება (წოლანები , უკუთალი) • სხვადასხვა სამაგრი კონსტრუქციის ელემენტების შეერთება (ხის სამაგრის ელემენტები, ლითონის სამაგრის ელემენტების, შერეული სამაგრის ელემენტების) | |
| სასწავლო კვირა: 13 | |
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 2. მიწისქვეშა სამუშაოებისას ქანის მონგრევის და გვირაბების გამაგრების მეთოდები |
| სწავლების მეთოდები: | პრაქტიკული მეცადინეობა ინსტრუქტაჟი |
| შეფასების მეთოდები: | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით |
| სასწავლო გარემო: | C - შპს „ჯორჯიანმანგანუმი“ს სტრუქტურული ერთეულები |
| თემატიკა | |
| <ul style="list-style-type: none"> • საბურღი დანადგარის განთავსება სანგრევზე • ბურღების კომპლექტის გამოყენებით ბურღვა ფეთქით პასპორტით განსაზღვრული შპურის სიგრძის გაჭრა | |

- საბურღი დანადგარის სწორად დადგმით შპურის მიმართულების მიცემა
- სხვადასხვა დანიშნულების შპურებისათვის (გამყელავი, მომგრევი და მაკონტროლებელი) საჭირო მიმართულებისა და სიღრმის მიცემა
- ფეთქითი სამუშაოს ჩატარებისას ამფეთქებლის მიერ მიცემული გამაფრთხილებელი სიგნალების დანიშნულებისამებრ შესრულება
- აფეთქების წინ უსაფრთხო ადგილზე გადასვლის მარშუტის განსაზღვრა
- აფეთქების წინ მანქანა დანადგარების გადაადგილება და მათი უსაფრთხო განთავსება
- უსაფრთხო ადგილზე მისასვლელი გზებზე სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნების და პიკეტების მოწყობა.

სასწავლო კვირა: 14

| | |
|--|--|
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 3. მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებისას გვირაბების გაყვანის ორგანიზაცია |
| სწავლების მეთოდები: | პრაქტიკული მეცადინეობა |
| შეფასების მეთოდები: | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით |
| სასწავლო გარემო: | C - შპს „ჯორჯიანმანგანუმის“ სტრუქტურული ერთეულები |

თემატიკა

- აშლილ ქანებში გვირაბის გაყვანისას წინსწრებით დროებითი სამაგრის დაყენება
- გვირაბის კვეთში სხვადასხვა შრეების შემადგენელი ქანების ფიზიკო-მექანიკური პირობების გათვალისწინებით დროებითი სამაგრის შერჩევა
- გაყვანა გამაგრების პასპორტის პარამეტრების შესაბამისად გვირაბის კვეთისა და ფორმების გაზომვა შენარჩუნება
- სამაგრის დაყენების პროცესში საჭირო იარაღებისა და დანადგარების გამოყენება
- ხის სამაგრი კონსტრუქციების დაყენება
- გაყვანა გამაგრების პასპორტის შესაბამისად სხვადასხვა ტიპის სამაგრი კონსტრუქციების დაყენება

სასწავლო კვირა: 15

| | |
|--|--|
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 3. მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებისას გვირაბების გაყვანის ორგანიზაცია |
| სწავლების მეთოდები: | პრაქტიკული მეცადინეობა |
| შეფასების მეთოდები: | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით |
| სასწავლო გარემო: | C - შპს „ჯორჯიანმანგანუმი“ სტრუქტურული ერთეულები |

თემატიკა

- გვირაბის გაყვანის პროცესში მონგრეული ქანის დატვირთვა ქანსატვირთი მანქანის გამოყენებით
- გვირაბის გაყვანის პროცესში მონგრეული ქანის დატვირთვა სხვადასხვა ტიპის მონწყობილობებით
- ქანსატვირთი პროცესის წარმართვა მუშაობის ორგანიზაციის გრაფიკის შესაბამისად
- გვირაბსაგამყვანო სამუშაოების წარმოება პარალელური და მიმდევრობითი სქემებით.
- გვირაბის გაყვანა ვიწრო ან ფართო სანგრევებით

სასწავლო კვირა: 16

| | |
|--|---|
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 4. გვირაბების განიავება და სამუშაოების უსაფრთხო წარმოება |
| სწავლების მეთოდები: | პრაქტიკული მეცადინეობა |
| შეფასების მეთოდები: | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით |
| სასწავლო გარემო: | C - შპს „ჯორჯიანმანგანუმის“ სტრუქტურული ერთეულები |

თემატიკა

- სამუშაოს დაწყებამდე ჰაერგამზომი სადგურების მონაცემებზე დაყრდნობით ჰაერის პარამეტრების უსაფრთხოების დადგენა
- ჰაერგამზომი ხელსაწყოების გამოყენებით სანგრევზე ჰაერის შემადგენლობის გაზომვა და მის უსაფრთხოებაში დარწმუნება
- ბლუდარებისა და სავენტილაციო მილების დაყენებით სანგრევზე სამუშაო პირობების უზრუნველყოფა
- სანგრევების განიავების უზრუნველსაყოფად სავენტილაციო სისტემის მონწყობა ადგილობრივი განიავების ვენტილატორის გამოყენებით

სასწავლო კვირა: 17

| | |
|--|---|
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: | 30 |
| სწავლის შედეგები: | სწავლის შედეგი 4. გვირაბების განიავება და სამუშაოების უსაფრთხო წარმოება |
| სწავლების მეთოდები: | პრაქტიკული მეცადინეობა |
| შეფასების მეთოდები: | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით |
| სასწავლო გარემო: | C - შპს „ჯორჯიანმანგანუმის“ სტრუქტურული ერთეულები |

თემატიკა

- სამუშაო ადგილზე მუშაობის დანყების და სამუშაო პროცესის დროს უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა
- სამუშაოების წარმოებისას დარგობრივი ინსტრუქციების მოთხოვნების შესაბამისად კონკრეტული სამუშაოების შესრულება
- სამუშაო ადგილებზე სანიტარულ ჰიგიენური ნორმების შესაბამისად ნარჩენების მართვა
- სამუშაო ადგილზე და საწარმოს ტერიტორიაზე გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულება.

დაშვების წინაპირობები

ასაკი :18

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

1. გასაუბრება

სწავლის შედეგები

სხვა სწავლის შედეგები

სწავლის შედეგი 1. სამთო საწარმოები და მათი დამუშავების მეთოდები

სწავლის შედეგი 2. მიწისქვეშა სამუშაოებისას ქანის მონგრევის და გვირაბების გამაგრების მეთოდები

სწავლის შედეგი 3. მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებისას გვირაბების გაყვანის ორგანიზაცია

სწავლის შედეგი 4. გვირაბების განიავება და სამუშაოების უსაფრთხო წარმოება

დასაქმების სფერო/სფეროები

პროგრამის შემუშავების საფუძვლები

სხვა

ავტორიზებული პროგრამა სამთო საქმე-მიმართულება „სამთო ტექნიკოსი“

ავტორიზაციის გადაწყვეტილების #524305 04.06.2021 წ

გვირაბგამყვანი

ლოკაცია და აღჭურვილობები

ლოკაცია:

| რეგიონი | რაიონი | მისამართი |
|---------|---------|-----------------|
| იმერეთი | ჭიათურა | გ. თხელიძის №29 |

აღჭურვილობები

| ტიპი | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|--|---------------|-----------|
| აირწინალი | ცალი | 1 |
| ამფეთქებლის დასაცობი ჯოხი | ცალი | 2 |
| დაფა | ცალი | 1 |
| მასწავლებლის მაგიდა | ცალი | 1 |
| მომგრევი ჩაქუჩები | ცალი | 1 |
| მოსწავლის მერხი | ცალი | 10 |
| სკამი | ცალი | 31 |
| რესპირატორი | ცალი | 2 |
| კომპიუტერი | ცალი | 1 |
| საბურღი სპირალი(0.50მ, 1 მ, 1,5 მ, 2 მ, 2,5 მ) | კომპლექტი | 1 |
| საისრე გადამყვანი | კომპლექტი | 1 |
| სარკინიგზო რელსის დასაყენებელი კომპლექტი | კომპლექტი | 1 |
| ჩაფხუტი | ცალი | 2 |
| ხის სამაგრი კონსტრუქციების ელემენტები | კომპლექტი | 1 |
| ჰაერის მოძრაობის სიჩქარის მზომი | ცალი | 1 |
| ჰაერის სიჩქარის მზომი | ცალი | 1 |
| ჰაერის შემადგენლობის მზომი | ცალი | 1 |
| ჰარის შემადგენლობის მზომი (ელექტრი) | ცალი | 1 |
| პროექტორი | ცალი | 1 |

ლოკაცია:

| რეგიონი | რაიონი | მისამართი |
|---------|--------|-----------|
|---------|--------|-----------|

| | | |
|---------|---------|------------------------|
| იმერეთი | ჭიათურა | დეკანოზიშვილების ქ. #1 |
|---------|---------|------------------------|